სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

31 ივლისი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 124

„2023 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2023 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 5 ივნისის N89 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 31 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N946915) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „2023 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 31 ივლისის N124 ბრძანებით

2023 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	PHDF-23-5415	ობსტრუქციული აპნოეს როლი გულის უკმარისობის პროგნოზის განსაზღვრაში	დოქტორანტის, ნ. ბ-ს ინგლისურ CV-თან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.
2	PHDF-23-255	ტრავმატიზმი უძველეს საქართველოში - ძვლები, რომლებიც ჰყვებიან ისტორიას	უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის, პ. ქ-სთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი); საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის, ნ. თ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.
3	PHDF-23-2166	ფსიქოგანათლება სკოლაში	დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობის მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი); უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის, ხ. მ. ლ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“, „დ“, „ზ“ ქვეპუნქტები) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.
4	PHDF-23-1066	მჭიდრო დასახლების პირობებში ახალი მშენებლობის ზეგავლენისაგან დამცავი კონსტრუქციული სისტემების შერჩევა	უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის, ა. პ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.

5	PHDF-23-3106	საქართველოსა და მსგავსი პარტნიორი სახელმწიფოების აშშ-ს თავდაცვითი თანამშრომლობის პროგრესის და შეფერხებების შედარებითი ანალიზი 2010 წლიდან დღემდე	დოქტორანტის, ს. შ-ს CV-ების მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.
6	PHDF-23-470	ქართული დიპლომატიური ქორწინებების ისტორია (IV-XVსს.)	დოქტორანტის, ზ. მ-ს CV-ების მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი), კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საკითხი დარჩეს განუხილველი.